თამარ ჩხეიძე

ტრადიციული მრავალხმიანობის მე-8 საერთაშორისო სიმპოზიუმი

2016 წლის 26-30 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ უმასპინძლა ტრადიციული მრავალხმიანობის მე-8 საერთაშორისო სიმპოზიუმს, დატვირთულს მოვლენებით – სამეცნიერო სესიებით, საკონცერტო პროგრამითა და კულტურული ღონისძიებებით. საქართველოში ეთნომუსიკოლოგიის სფეროში ეს ერთადერთი წარმომადგენლობითი და მასშტაბური ფორუმია, რომელიც ჩვენს უნიკალურ საგანძურს, ქართულ ტრადიციულ მუსიკას ეძღვნება. ამ მნიშვნელოვან ფორუმში მთელი მსოფლიოდან ერთვებიან ცნობილი ეთნომუსიკოლოგები, ტრადიციული მრავალხმიანობის შემსწავლელი მეცნიერები და ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი ანსამბლები. სიმპოზიუმი 2002 წლიდან ყოველ მეორე წელიწადს ტარდება კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით. თუმცა ტრადიციული მუსიკის კვლევისა და შემსრულებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიებები კონსერვატორიის ინიციატივით ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ამ მოვლენის საწყისებთან ცნობილი ეთნომუსიკოლოგები კუკური ჭოხონელიძე, ანზორ ერქომაიშვილი და იოსებ ჟორდანია იყვნენ. ანზორ ერქომაიშვილი და იოსებ ჟორდანია დღესაც აქტიურად არიან ჩართული ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მომზადებასა და მიმდინარეობაში.

კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრთან ერთად ღონისძიების ოფიციალური ორგანიზატორები არიან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (ხელმძღვანელი გ. დონაძე) და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი (ხელმძღვანელი ა. ერქომაიშვილი). სიმპოზიუმი დაარსებიდან საქართველოს პრეზიდენტის პატრონატით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინასური მხარდაჭერით ტარდებოდა, წელს ფორუმს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიც დაუდგა მხარში.

თუ წინა სიმპოზიუმების ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ქართული ტრადიციული მუსიკის მეგობართა რიცხვი იზრდება.

წლიდან წლამდე უცხოელ მეცნიერთა და შემსრულებელთა ჩართულობა მატულობს. იზრდება უცხოელ მეცნიერთა კვლევების რაოდენობა, რომლებიც ქართული ტრადიციული მუსიკისადმია მიძღვნილი. მიმდინარე სიმპოზიუმზე ქართულ ტრადიციულ მუსიკას ხუთი უცხოელი მკვლევარის მოხსენება მიეძღვნა. მიმდინარე სიმპოზიუმზე მონაწილეობის მსურველთა (როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ მეცნიერთა) რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ყველას დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა. საბოლოოდ შეირჩა 49 მეცნიერი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან. ასეთი მზარდი ინტერესის მიზეზი თავად არის ჟანრული მრავალფეროვნებით გამორჩეული, შინაარსით, მრავალხმიანობის ფორმებით, მუსიკალური ენით, საშემსრულებლო მანერით, ფორმების სირთულით მდიდარი ქართული ტრადიციული მუსიკა. ქართული ტრადიციული მუსიკალური მემკვიდრეობის თვითმყოფადობა, ქართული მრავალხმიანობის ფენომენალურობა მსოფლიოში აღიარებულია თავად უცხოელ მკვლევართა მხრიდან. ბოლო წლებში კი ქართული ტრადიციული მუსიკისადმი ინტერესი განსაკუთრებით მზარდია და ეს ჩანს სამეცნიერო კვლევებსა თუ ქართული მუსიკის უცხოელ შემსრულებელთა ახალი ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

სიმპოზიუმის სამეცნიერო მუშაობა ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამეცნიერო მოხსენებები თემატურად გაერთიანდა შემდეგ სექციებში: მრავალხმიანობის ზოგადი თეორია და მუსიკალურ-ესთეტიკური ასპექტები, მრავალხმიანობის გენეზისი ადამიანის ევოლუციის ფონზე, მრავალხმიანობა საკრავიერ მუსიკაში, ისტორიული ჩანაწერები, ტრადიციული პოლიფონიის რეგიონული სტილები და მუსიკალური ენა, მრავალხმიანობა სასულიერო მუსიკაში. სასულიერო მუსიკის მკვლევართათვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ბიზანტინისტ მკვლევართა პოზიცია ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ფაქტურასთან დაკავშირებით. ტრადიციული პოლიფონიის რეგიონული სტილებისა და მუსიკალური ენისადმი მიძღვნილი მოსხენებები ყველაზე ფაროდ იყო წარმოდგენილი. სამეცნიერო სესიები დასრულდა მრგვალი მაგიდით, თემაზე – ტრადიციული პოლიფონიის ფორმები, სტრუქტურული ტიპები და კარტოგრაფია.

სამეცნიერო ფორუმის **მასშტაბის ზრდას** ხელი შეუწყო სიმპოზიუმის უცხოური ბიუროს ხელმძღვანელის, ავსტრალიაში მოღვაწე ეთნომუსიკოლოგის იოსებ ჟორდანიას ინიციატივამ, ნაკლებად ცნობილი რეგიონალური მრავალხმიანობის წარმოჩენის მიზნით, მოეწვიათ ის მეცნიერები, რომლებიც ამ კულტურებს იკვლევენ. სიმპოზიუმის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, გაცნობოდნენ იაპონურ, ტაილან-

დურ, ტიბეტურ, ობერტონული სიმღერადმი მიძღვნილ კვლევებს და ჩართულიყვნენ დისკუსიაში.

გამოცდილი და მსოფლიოში აღიარებული ეთნომუსიკოლოგების გვერდით, როგორიცაა ბრუნო ნეტლი, სიმჰა აარომი, პოლო ვალეჰა, იოსებ ჟორდანია, სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ **ახალგაზრდა მეცნიერები**. საორგანიზაციო კომიტეტი ხელს უწყობს ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა ჩართულობას სიმპოზიუმის სამეცნიერო მუშაობაში. წინა სიმპოზიუმზე და წელსაც ცალკე სექცია მუშაობდა დოქტორანტებისთვის, სადაც 7 ქართველი და 3 უცხოელი მეცნიერი წარდგა აუდიტორიის წინაშე სასტენდო მოხსენებებით. ამ ფორმატში ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალება მიეცათ, დიდ ფორუმებზე გამოსვლის გამოცდილება შეეძინათ, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სამეცნიერო კვლევით ცენტრთან წვდომის გაადვილებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას.

მრავალხმიანობის სამეცნიერო ფორუმს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მეტად საინტერესო **საკონცერტო მიმართულება**. მიმდინარე სიმპოზიუმზეც, ტრადიციულად, ფოლკლორული მუსიკის კონცერტები სამეცნიერო სესიებს შორის და დღის ბოლოს იმართებოდა. აქ თბილისურ და რეგიონალურ ქართულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ უცხოური ჯგუფებიც. კონცერტებზე ტრადიციული ქართული მუსიკის გვერდით წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვა ეთნიკური ჯგუფებისა და მსოფლიო ხალხთა ტრადიციული მუსიკის ნიმუშები. მე-8 სიმპოზიუმის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა თბილისური ანსამბლების მონაწილეობით. მსმენელის წინაშე წარდგნენ ცნობილი ანსამბლები: „ბასიანი", „ანჩისხატი", დიდგორი, „სახიობა", „სათანაო", „მთიები", „ძირიანი", „შავნაბადა", „მზეთა მზე". ამავე კონცერტზე შედგა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდის წარმატებული დებიუტი. წელს ქართველ მსმენელს სიმპოზიუმის სტუმრებთან ერთად ტრადიციული სარდინიული პოლიფონიის გაცნობის საშუალებაც მიეცა. შედგა საინტერესო მუსიკალური „დიალოგი" სარდინიული და ქართული ჯგუფების ერთობლივი მუსიცირებით. სიმპოზიუმის დახურვისადმი მიძღვნილ გალა კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული რეგიონალური და უცხოური ანსამბლები: „გორანი" (ავსტრალია), მელბურნის ქართული გუნდი (ავსტრალია), „უცხო სუნელი" (ავსტრალია), „კუნკორდუ ლუსურჯეზუ" (იტალია, სარდინია), „მარანი" (საფრანგეთი), „საჩუქარი" (საფრანგეთი), ტრიო კანადიდან. ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი უცხო-

ური ანსამბლების გამოსვლებში მეტი სითამამე და თავდაჯერებულობა იგრძნობოდა. ავსტრალიური ჯგუფი ყველა სიმპოზიუმის სტუმარია და ქართულ კულტურასთან ზიარებას რეგიონში სტუმრობით აგრძელებს ხოლმე.

მიმდინარე სიმპოზიუმზე სიახლით გამოირჩეოდა საკონცერტო პროგრამაც. ერთი საკონცერტო საღამო საოჯახო ანსამბლების გამოსვლას დაეთმო. საბედნიეროდ, მუსიკალური ფოლკლორის ზეპირი გადაცემის ტრადიცია საქართველოში დღესაც ცოცხალია, რისი დასტურიც კონცერტში მონაწილე ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახები იყო (ვეშაპიძეების, მელაძეების, დონაძეების ოჯახები). დღეს ქართული ოჯახი ბუნებრივ გარემოში ფოლკლორის შენარჩუნების წყაროს და საშუალებას წარმოადგენს. ოჯახურ გარემოში ტრადიციული სამუსიკო კულტურის არსებობა უცხოელებისათვის მეტად საინტერესო ფენომენია, რაც ქართული ტრადიციული სამუსიკო ხელოვნების სოციალური ასპექტებით შესწავლის პერსპექტივებს სახავს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა და თბილისური საოჯახო ანსამბლების გვერდით მსმენელმა გაიცნო ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი ოჯახური ტრიო კანადიდან.

სიმპოზიუმის ფარგლებში **გაიმართა ფილმების ჩვენებაც.** იტალიელმა რეჟისორმა და ეთნომუსიკოლოგმა რენატო მორელიმ წარმოადგინა ორი ფილმი. ერთი – „მრავალჟამიერ“ – აღწერდა სვანეთში ავსტრალიელების სიმღერით მოგზაურობას და ფილფანების ოჯახში მელბურნის ქართული გუნდის სტუმრობას, მეორე – „წმინდა ხმები“ სარდინიულ მრავალხმიანობას ეძღვნებოდა. ფილმის საშუალებით გავეცანით „კონკორდუს“ შემსრულებელთა ორ თაობას და მათ მონაწილეობას ვნების კვირის მსახურებაში.

ფრანგი ეთნომუსიკოლოგის ჰუგო ზემპის ფილმის (თანაავტორი ეთნომუსიკოლოგი ნონა ლომიძე) გადაღება წინა სიმპოზიუმზე დაიგეგმა. ფილმი კახური სუფრულებისადმი, ღვინის კულტურისადმი იყო მიძღვნილი. ფილმის გადაღებისას კახური სიმღერების ცნობილი შემსრულებლის, ანდრო სიმაშვილის პატივისცემის ნიშნად, მისი სურვილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაც მოხდა.

სიმპოზიუმის გახსნის საზეიმო ღონისძიებაზე ქართული ტრადიციული მუსიკის დიდ მეგობრებსა და სიმპოზიუმის უცვლელ სტუმრებს, ცნობილ ეთნომუსიკოლოგებს, სუზან ციგლერს (გერმანია) და დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენეს (ლიტვა), რომლებიც ქართული ტრადიციული მუსიკისადმი ინტერესს ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან იჩენენ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის **საპატიო დოქტორების წოდება მიენიჭათ**.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმები უმნიშვნელოვანეს საქმეს ემსახურება. ფასდაუდებელია მისი წვლილი არა მხოლოდ ეთნომუსიკოლოგიური კვლევების აქტივიზაციაში, არამედ ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციაში როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. სიმპოზიუმის ფარგლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობები მეცნიერებსა თუ ანსამბლებს შორის გრძელდება ფორუმის დასრულების შემდეგ, ინაცვლებს უცხოეთშიც, სადაც საკონცერტო სცენაზე თუ მასტერკლასების ფორმატში ქართველი ტრადიციული მუსიკის შემსრულებლები ეროვნულ სამუსიკო კულტურას აცნობენ უცხოელ მსმენელსა და მეცნიერებს. ეს ახალი რაკურსით, პრობლემატიკითა და ასპექტებით შესწავლის იმპულსებს აჩენს, ახალი საშემსრულებლო ჯგუფების შექმნის პერსპექტივას ქმნის, რაც ასაზრდოებს ეთნომუსიკოლოგიას და ახალ სიცოცხლეს სძენს ქართულ ტრადიციულ მუსიკას.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სიმპოზიუმის საორგანიზაციო ბიუროს, პრეს-სამსახურისა და სამუშაო ჯგუფის მუშაობის მაღალი ხარისხი ღონისძიებების საორგანიზაციო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც მეტად კომფორტულს ხდიდა როგორც სიმპოზიუმის მონაწილეთა მუშაობას, ისე სტუმართა ჩართულობას სასურველ ღონისძიებაში.